გეოგრაფია

1. რომელ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაში გაედინება მდ. ალაზანი?
   ა. ქართლში
   <u>ბ. კახეთში</u>
   გ. რაჭაში
   დ. გურიაში
2. რომელი ოკეანის აუზს მიეკუთვნება გვინეის ყურე?
   ა. წყნარი
   <u>ბ. ატლანტის</u>
   გ. ინდოეთის
   დ. ჩრდილოეთი ყინულობანი
3. რომელი კუნძული მდებარეობს ინდოეთის ოკეანეში?
   ა. კუბა
   <u>ბ. მადაგასკარი</u>
   გ. სიცილია
   დ. ისლანდია
4. რა ეწოდება მოსახლეობის გადაადგილებას საცხოვრებლად დროებით ან მუდმივად ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეში?
   ა. მოსახლეობის დინამიკა
   ბ. მოსახლეობის აღწარმოება
   <u>გ. მოსახლეობის მიგრაცია</u>
   დ. მოსახლეობის დაბერება
5. სქესობრივ-ასაკობრივი (დემოგრაფიული) პირამიდის მიხედვით, ჩამოთვლილი ასაკობრივი ჯგუფებიდან რომელია უფრო მრავალრიცხოვანი?
   ა. 10-14
   ბ. 45-49
   <u>გ. 65-69</u>
   დ. 85-89



6. საქართველოს მუნიციპალიტეტებიდან (ადმინისტრაციული რაიონებიდან) სად არის უფრო მეტად თოვლის ზვავის წარმოქმნის საშიშროება?

   ა. მესტიის

   ბ. ზუგდიდის გ.

   თერჯოლის დ.

   ზესტაფონის

7. რომელი უღელტეხილია აღნიშნული საქართველოს კონტურულ რუკაზე კითხვის ნიშნით?

   ა. ქლუხორის

   ბ. რიკოთის

   გ. გუდამაყრის

   დ. მამისონის



8. რომელი აღკვეთილი არ მდებარეობს კახეთის ტერიტორიაზე?

   ა. ილტოს

   ბ. გარდაბნის

   გ. ჭაჭუნას

   დ. ივრის

9. ცხრილის მიხედვით, რომელ წელს მიაღწია ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ პიკს?

   ა. 1980

   ბ. 1987

   გ. 2000

   დ. 2005

წელი	ყველა სახის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა (მლნ. ტ/კმ)
1970	31.7
1975	47.4
1980	72.9
1985	74.5
1987	79.7
1996	74.1
2000	50.1
2005	67.7

10. რომელი მტკიცებულებაა მართებული?

ა. საქართველოს ნაპირებთან შავი ზღვა მხოლოდ ქ. ფოთის მიდამოებში იყინება

ბ. შავ ზღვაზე ქარს ზამთარში ციმბირული ციკლონი განაპირობებს

<u>გ. საქართველოს ნაპირებთან შავი ზღვა მთელი წლის განმავლობაში არ იყინება</u>

დ. შავი ზღვა ყველაზე ღრმაა ქ. ბათუმის სანაპირო ზოლში

11. საქართველოს რომელ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებს ესაზღვრება ჩეჩნეთის ავტონომიური რესპუბლიკა?

ა. ფშავს და ხევსურეთს

<u>ბ. ხევსურეთს და თუშეთს</u>

გ. ხევს და ფშავს

დ. მთიულეთს და თუშეთს

12. რომელი დიაგრამა ასახავს კლიმატს, სადაც მხოლოდ ნახევარი წლის განმავლობაშია ჰაერის ტემპერატურა დადებითი?

ა. A

ბ. B

<u>გ. C</u>

დ. D



13. რომელი ლათინური ასოთია აღნიშნული საქართველოს კონტურულ რუკაზე სუფსის ნავთობის საბადო?

<u>ა. A</u>

ბ. B

გ. C

დ. D

14. რომელი მდინარე მიეკუთვნება შავი ზღვის აუზს?

ა. ალაზანი
ბ. არაგვი
გ. ხრამი
<u>დ. რიონი</u>

15. რომელ ფოტოზეა ასახული მეწყერი?
    ა. ა
    <u>ბ. ბ</u>
    გ. გ
    დ. დ

16. რომელ ღონისძიებას <u>არ</u> მიმართავენ ღვარცოფის თავიდან ასაცილებლად?
    ა. კალაპოტში ჯებირების აგებას
    ბ. კალაპოტის ნაშალისგან გაწმენდას
    გ. <u>ხეობის ფერდობებზე ტყის ჭრას</u>
    დ. ხეობის ფერდობებზე ტერასების მოწყობას

17. რომელი მხარის ტერიტორიაზე არ მდებარეობს ეროვნული პარკი**?**
    ა. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთში
    ბ. სამეგრელო-ზემო სვანეთში
    გ. სამცხე-ჯავახეთში
    დ. მცხეთა-მთიანეთში

18. რომელი მდინარე მიეკუთვნება შავი ზღვის აუზს?
    ა. ქსანი
    ბ. მტკვარი
    გ. თერგი
    დ. სუფსა

19. რომელ კონტინენტზე მდებარე გეოგრაფიულ ობიექტს შეესაბამება **23°30´** ს.გ. და **140°15´** ა.გ. გეოგრაფიული კოორდინატები**?**
    ა. ანტარქტიდის
    ბ. ჩრდილოეთი ამერიკის
    გ. აფრიკის
    დ. ავსტრალიის

20. ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურა **+2,1°C-**ია**,** ხოლო ყველაზე თბილი თვის **– +20,2°C.** რას უდრის ამ ქალაქის ჰაერის ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა**?**
    ა. 1.51°C
    ბ. 1.85 °C
    გ. 18.1°C
    დ. 22.3 °C